



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000069605342719

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 44

06 / ნოემბერი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული საიჯარო ფართების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული საიჯარო ფართების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასური შემდეგი სახით: (საკადასტრო კოდი 50.04.42.017)

ა) შენობის პირველ სართულზე მდებარე 11.84კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **149.0** (ას ორმოცდაცხრა) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

ბ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 17.4კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **219.0** (ორას ცხრამეტი) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.


გ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 17.0კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანყისი საფასური, სანყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **215.0** (ორას ხუთმეტი) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

დ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 14.6კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანყისი საფასური, სანყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **184.0** (ასოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.
- განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
 - განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.№101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი